მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ა(ა)იპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებასა“ და , ა(ა)იპ ,,ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციას“ შორის, მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჯარას სწავლების ინტეგრირების

ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის

შესახებ

29. 06.2021 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იუიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს/კ 245428158 (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, მერაბ ხალვაშის მიერ, მეორე მხრივ ა(ა)იპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება“ - ს/კ 402110746 (შემდგომში „გაერთიანება“) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ავქსენტი პაპავას მიერ და მესამე მხრივ ა(ა)იპ ,,ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია'' - ს/კ 445547999 (შემდგომში ,,ასოციაცია'') წარმოდგენილი დირექტორის ასლან შაქარაძის მიერ (შემდეგში ,,მხარეები“) თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეებს შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "მეფუტკრეობა" ჯარას მეფუტკრეობის და ჯარას ბიო-თაფლის წარმოების სწავლების ინტეგრირების საკითხს.

1.2. „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს ჯარას მეფუტკრეობის სწავლების ინტეგრირებას არსებულ/მოქმედ მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც განსაზღვრულია და შეთანხმებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

1.3. „ასოციაცია“ უზრუნველყოფს პროფესიული კოლეჯისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადაცემას.

1.4. „გაერთიანება“ უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ხელშეწყობასა და კოლეჯის მეფუტკრე-მასწავლებლისთვის შესაბამისი უნარების განვითარებას.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობები

2.1. „უნივერსიტეტი“ ვალდებულია:

2.1.1. პროფესიული სტუდენტის სწავლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "მეფუტკრეობა";

2.1.2. უზრუნველყოს ჯარას მეფუტკრეობის სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და უსაფრთხო პირობების შექმნა უნივერსიტეტის სტუდენტისთვის;

2.1.3. უზრუნველყოს სასწავლო პროცესის წარმართვა შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პერსონალით;

2.1.4. უზრუნველყოს კოორდინაცია „გაერთიანებასა“ და „ასოციაციასთან“, სწავლების პროცესის მხარდაჭერის მიზნით;

2.1.5. უზრუნველყოს ,,ასოციაციის'' მიერ გადაცემული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობას.

2.2 „ასოციაცია“ ვალდებულია:

2.2.1. მოახდინოს „კოლეჯის“ დროული უზრუნველყოფა ჯარას მეფუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალუ-ტექნიკური რესურსებით, რომელიც მოიცავს ოთხ ჯარა სკას ფუტრის ოჯახით; ეჩოს, ცულს, ბურღს, ხის პასალს, ხერხს - ჯარას სკის დასამზადებლად; გიდელს - ნაყრის მოსაკრეფად; ხის როლიკს, ხიმონს, თოკს - ჯარას სკის ხეზე განსათავსებლად; საბოლებელს და უჟანგავ დანას - ჯარას სკიდან თაფლის ამოსაღებად.

2.3 „გაერთიანება“ ვალდებულია:
2.3.1. უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიულის მასწავლებლის გადამზადება და დაეხმაროს კოლეჯს ჯარას მეფუტკრეობის სწავლების დანერგვასა და დახვეწაში გრძელვადიან პერსპექტივაში;

2.4. „უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს „ასოციაციასა“ და „გაერთიანებას“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.
ბ) შეწყვიტოს ხელშეკრულება „ასოციაციისა“ და „გაერთიანების“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2.5. „ასოციაცია“ და „გაერთიანება“ უფლებამოსილნი არიან:
ა) მოსთხოვონ „უნივერსიტეტს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.
ბ) შეწყვიტონ ხელშეკრულება „უნივერსიტეტის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის ან პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევის, ასეთი უფლების ვერ მოპოვების ან უნივერსიტეტის მიერ პროგრამის განხორციელების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

2.6 ერთობლივად განსახორციელებელი სხვა ღონისძიებები:
ა) „უნივერსიტეტი“, „ასოციაცია“ და „გაერთიანება“ ერთობლივად უზრუნველყოფენ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში „მეფუტკრეობა“ ჯარას მეფუტკრეობის და, შესაბამისად, ჯარას ბიო-თაფლის წარმოების სწავლების ინტეგრირებას;
ბ) „უნივერსიტეტი“, „ასოციაცია“ და „გაერთიანება“ ერთობლივად უზრუნველყოფენ მათი თანამშრომლების მუდმივ დატრეგინგებას ან გადამზადებას ან ცოდნის ამაღლებას.

მუხლი 3. მხარეთა მიერ ერთობლივად განსახორციელებელი სხვა აქტივობები
3.1. გაერთიანება რეკომენდაციას გაუწევს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებიც შეიძლება დასაქმდნენ უნივერსიტეტში და ასწავლონ ჯარას მეფუტკრეობა;

მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან;
4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.
4.3 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 5. დამატებითი პირობები
5.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეების შეთანხმებით ან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
5.2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
5.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;
5.4. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად. სამივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
5.5. მხარეებს შორის ურთიერთობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა ღონე იხმარონ და შექმნან სათანადო პირობები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად. მხარეები აღიარებენ, რომ მათი უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს შრომის კოდექსით, მოქმედი შრომითი და [illegible] კანონმდებლობით. მხარეების წესდებით ან/და შინაგანაწესით.

მუხლი 6. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს/კ 245428158 მისამართი: ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, ბათუმი, საქართველო საკონტაქტო ტელ: +995(422) 27 17 86 ელ-ფოსტა: info@bsu.du.ge რექტორი, მერაბ ხალვაში	ააიპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება“ ს/კ 402110746 მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 142, სართული 2; ფოსტა: geobeekeepers@gmail.com აღმასრულებელის დირექტორი ავქსენტი პაპავა	ააიპ „ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია” ს/კ 445547999 მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ქუჩა მელაშვილი, N 26, სართული 2 ფოსტა: info@jarabeekeepers.org თავმჯდომარე ასლან შაქარაძე